20.11.2018

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2018 წლის ოქტომბერი

ექსპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 2,2 პროცენტით გაიზარდა. ფასების 1,9 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი გაიზარდა 6,3 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ფასების 7,7 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები შემცირდა 2,3 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის ოქტომბერში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2017 წლის ოქტომბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**106.3**	**6.31**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**97.7**	**-0.48**
D	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**107.7**	**6.79**
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	107.3	2.26
DJ	ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი	106.8	2.23

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს

ექსპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე=100)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge